ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილ იქნეს ცვლილება და გაიზარდოს იგი:

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის N1932 განკარგულების საფუძველზე 107,0 ათასი ლარით, შემცირდება კეთილმოწყობის ღონისძიებები 1,8 ათასი ლარით, სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია და მშენებლობა 3,5 ათასით და აღნიშნული თანხა 112,3 ათასი ლარი მიიმართოს გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ხარჯებზე პროგრამული კოდი (02 01 02). ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 27/10/2022 N№46.46223003 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის N1934 განკარულებით ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 880,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 06) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 27/10/2022 N№46.46223004 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 11 ნოემბრის N2055 განკარულებით ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 190,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 06) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 15/11/2022 N№46.46223195 ბრძანება.

შემცირდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 01) 156,0 ათასი ლარით და მიიმართება ა(ა)იპ კურორტი ბახმაროს (პროგრამული კოდი 02 07) ხარჯებისათვის 35,5 ათასი, კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის (პროგრამული კოდი 02 03) 24,5 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 06) 96,0 ათასი ლარი.

გაიზრდება ადგილობრივი შემოსავლები კერძოდ: სხვა შემოსავლები 768,0 ათასი ლარით და მიიმართება შემდეგი დანიშნულებით:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ესპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00) ხარჯებისათვის 131,9 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) ხარჯებისათვის 284,1 ათასი ლარი;

განათლება (პროგრამული კოდი 04 00) ხარჯებისათვის 98,2 ათასი ლარი;

კულტურა რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) ხარჯებისათვის - 209,8 ათასი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 00) ხარჯებისათვის (სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება) 200,0 ათასი ლარი.

შემცირდება კეთილმოწყობის ღონისძიებები 7,0 ათასით და მიიმართება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 21/04/2022 №46.462211111 ბრძანება.

შემცირდება მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯი 6,3 ათასით და მიიმართება „მგზისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა" ხარჯებისათვის, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 09/11/2022 №46.46223139 ბრძანება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 27 190,9 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის N1932, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის N1934, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 11 ნოემბრის N2055 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე და მე-80 მუხლებთან და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : **ბექა შენგელია**

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №12 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე , 22 -ე , 23-ე, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*

განკარგულება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: **მ. გოგოლაძე**